

ნანა ბახსოლიანი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ნინო გაჩავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

ქართული ხალიჩა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში და მისი როლი ტურიზმში

ქართულ ხალიჩას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. მისი მხატვრული ღირსება თვითმყოფადობაა, ამ ნიშნით გამოირჩევა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ნიმუშები, მასზე გამოსახული ფერადოვნებით, ხატოვანი მოტივებით, თუ ორნამენტებით.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები (კვირისთავები, თითისტარები, საბეჭური), ნათლად მიუთითებს ნეოლითისა და ენეოლითის ხანიდან საქსოვი დარგის მაღალ განვითარებაზე [1, 220].

მართალია, ყველაზე ადრეულ, ჩვენამდე მოღწეულ მხოლოდ ვანის ქვაბებიდან XIII-XIV საუკუნით დათარიღებული ქართული ხელით ნაქსოვი ხალიჩის ფრაგმენტი წარმოადგენს, მაგრამ სურათს არ ცვლის პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში „შუშანიკის წამება“ მოხსენიებული ტერმინი „კილიკი“: „და თაყუანის საცემელად კილიკი ერთი მცირე ქუე წარუგდებიდ“ [2, 25]. აღსანიშნავია, რომ იგივე ტერმინი ორგზის დასტურდება მე-11 საუკუნის ავტორის, ლეონტი მროველის თხზულებაში „წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“: „და რომლისა კილიკსა ზედა მარადის ილოცავენ წმიდა ნინო, მას ზედა და-

დება უბრძანა ყრმისა მის“; და კიდევ, „...და დადევს დედოფალი კი-
ლიკსა მისსა ზედა“ [3, 104], რაც IV-V საუკუნეებში ზემოხსენებული
ტერმინის ფართო გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს.

ქართული ხალიჩის განვითარების ისტორიისათვის უმნიშვნელო-
ვანესი ინფორმაციის შემცველია ქართულ ენაში მატყლისაგან დამ-
ზადებული მხატვრული ქსოვილების აღმნიშვნელი მდიდარი ტერმი-
ნოლოგია. მაგალითად, „ძოლო“ 1718 წ. მცირე სჯულის კანონის კი-
დეებზე მიწერილ სიტყვათა განმარტებანში გვხვდება: „ძოლო არს
ხალიჩა“ [4,150]. ქართულ ლექსიკოლოგიურ მასალაში ქართული მე-
ხალიჩეობის ამსახველი შემდეგი ტერმინები მოწმდება: ტერი – ზო-
გადქვემ გასაშლელი დასაგებელი საფენი, რომელ არიან: ორხოვა,
ძოლო, ნოხი, ხალიჩა, ფარდაგი, ჯეჯიმი, ფიჩვი, ნაბადი, თაქნაბადი,
თექა, ქერა, კილიკი, ქუნთა, ხირაული, შათქუნი, ტაბასტო ან ლეიბი,
ნალი, ჩალახეში, საბანი, ბალიში და მისთანანი [5, 377]. ზემოხსენე-
ბული მასალის მიხედვით, ძოლო – მცირე ნოხი, ხალიჩაა [5, 443]; ორ-
ხოვა ნოხი, გრძელი ხალიჩა [6, 337, 324]; ნოხი – ხაოიანი საფენი, ორ-
ხოვა, გრძელი ხალიჩა [6, 404, 321]; ფიჩვი – ფლასი, საგები ნაბადი ან
ფარდაგი ცუდი [5, 395]; თაქნაბადი – თექა, საფენი (და არა წამოსას-
ხამი) ნაბადი [5, 231]; თექა – უმჯობესი თაქნაბადი [5, 232]; ქერა სა-
ფენი ნაბადი სუფთა და სახეებიანი [5, 402]; კილიკი – ღაზლის ფიჩვი
ტანის შესაწებებელი რამე [5, 249]; ქუნთა – ბოჭკოთი ქსოვილი სა-
ფენი [5, 406]; ხირაული – თხელი ფიჩვი [5, 469]; შათქუნი – დოშაკი,
ნალი, ლეიბი [5, 415], ტაბასტო – ლეიბი, მცირე შათქუნი [5, 375]. ზე-
მოჩამონათვალი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ტერმინები ქსოვის
სხვადასხვა ტექნოლოგიურ ციკლებს აღნიშნავს.

ცნობილია, რომ საქართველოში მეხალიჩეობის დარგის მაღალ
განვითარებას ხალხური ოსტატების მიერ შექმნილი ორიგინალური
ნამუშევრები უწყობდა ხელს [7, 8]. არაა გამორიცხული, რომ მეხა-
ლიჩეობის განვითარების მაღალი დონის კანონზომიერი მაჩვენებე-
ლი უნდა ყოფილიყო მოსაქმეობის მიხედვით შერქმეული გვარის
არსებობაც – ხალიჩაშვილი – ხალიჩის მქსოველი [8, 225].

საინტერესო ცნობებს ხალიჩის ფუნქციის, ნედლეულისა და ად-
გილის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში ვადასტურებთ [9,
188-194]. ქართულ ხელნაწერებს შორის საყურადღებოა სიგელი,
რომელიც თ. ყორდანას თანახმად, 1531 ან 1532 წლებში უნდა
იყოს შედგენილი. იგი დაწერილია ხუცურად ტყავზე, რომელშიც ჩა-

მოთვლილია ახლად დადგენილი ქართლის კათალიკოზის მალაქიას შენირულობანი. სიგელში ჩვენთვის საინტერესო ტერმინი ხალიჩაც მონმდება, რაც ტერმინის **ყველაზე ადრეული ფიქსაციაა**. საბუთში ვკითხულობთ: „...ერთი ოქრო ქსოვილი ქარათის ბისონი, მეფისა – ლეონისაგან ბოძებული; ერთი მუსაბახიანი სპილენძის მანკანა; ერთი ხალიჩა საკურთხეველის საყდარზე და დასაფენელი“... [10, 378].

თ. ჟორდანიას მიერ შეკრებილ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს ის სიგელ-გუჯარნი იმსახურებს, რომლებიც სხვადასხვა მონასტერთა და ეკლესიათა, უმეტესად მცხეთის, ბიჭვინთის, გელათის ეკლესიებიდანაა. მცხეთის სიგელ-გუჯართა ნუსხაში (№315 და №342) ახლად დადგენილი კათალიკოს მალაქიას შენირულობანის ჩამონათვალში ჩვენთვის საინტერესო ტერმინი ხალიჩა მონმდება: „1686 წ. ქკს: ტოე: ...„ოდეს: გიორგი: ჳელმნიფედ: ეკურთხა... ჩვენ ამილახორის შვილს პატრონს ნიკოლოზს მოგვებოდსად საქართველოს კათალიკოზობა...კზად ვეკურთხენით ქკს: ტფვ: დავინყე ვით ჟამსავე ამა ქკნისასა ტაძრისა (ამის) შენირვა, შემკობა და შემატება: **სამირონე ძირს გარშემო სუ ხალასად ნაკურის ხალიჩებით მოვფინე**“... [10, 505]. ხალიჩა ტაძრის ინტერიერის ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტს წარმოადგენდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხალიჩის ორნამენტის არაერთი ნიმუში დასტურდება ფრესკების კიდევებზე, კედლის დეკორატიულ მოხატულობაში. მაგალითად, სვეტიცხოვლის საკურთხეველის ფასადზე პანტოკრატორი მუთაქითა და საფენელით (ხალიჩა?) განყობილ სავარძელში მჯდომარეა გამოსახული.

საყურადღებოა კათალიკოზ მალაქია გურიელის ძის შენირულობის წიგნი დაახლ. 1616-1639 წწ. შედგენილი და დაცული ბიჭვინთის საბუთებში №80, სადაც ვკითხულობთ: „ქ. შემინირავს ჩვენ აფხაზეთის კზსა გურიელის ძესა ბატონსა მალაქიას ბიჭვინთისა ღმრთის მშობლისათვის თავს ერთი მურასა ყელსაკიდი ხატი, ... ერთი მურასა ტახტი, ... ერთი აბრეშუმის ომფორის ხალიჩა, ერთი სტიხარი ახლისა სამკლავები მძიმედ მოთვალმარგალიტული თორმეტის მუშაბახის ღილებითა“... [11, 49]. როგორც ვხედავთ, ხალიჩის დამზადების ნედლეულ მასალას აბრეშუმიც წარმოადგენდა. აბრეშუმის ხალიჩას აფხაზეთის საკათალიკოზო იარაღების დაკლების XVII ს. დათარიღებულ ნუსხაშიც ვხვდებით: „XVII ს. ქ. აკლია საკათალიკოზოს იარაღისაგან ორი ოდიკი... აკლია ორი კონდაკი, ერთი ვერცხლის ჯუარ სანთელი, ერთი ოქროს სქემა, ერთი ხის ჯუარი... არ არის კურთხევანი, არ არის აიაზმა და ზეთის კურთხევა, დიდი სჯულის კანონი, არც სელი... არ არის ქართლის ცხოვრება და დამასკელი...“

არ არის ძილისპირი, აბრეშუმის ხალიჩა“ [12, 58-59]. და კიდევ, მა-
ლაქია კათალიკოზის ბიჭვინთისადმი შეწირულების წიგნის ვრცელ
სიაში (1616-1639 წწ.) ვკითხულობთ: „ნებითა, შეწევნითა და წყალო-
ბითა ღმრთისათა ჩუენ გურიელ-კათალიკოზმან პატრონმან მალა-
ქიამ შევწირეთ ბიჭვინთისა ღმრთისმშობელსა მცირე ესე შესანი-
რავი: თავის ერთი წმიდის ანდრია მოციქულის ხატი მომიჭედინებია
და თორმეტსა უფლის კუბოში ჩამისვენებია და ბიჭვინთას დამისვენ-
ებია და სამი კვამლი კაცი იქ შემინირავს; ... ერთი აბრეშუმის ხა-
ლიჩა, ერთი ხასა ვერცხლის ჯუარი...“ [13, 500].

XVI-XVIII სს-ის სასამართლო განჩინებებს, დადგენილი მეფეთა,
კათალიკოსთა, ბატონიშვილთა, მდივანბეგთა, მალიქ-მამასახლისთა
და ქეთხუდების სასამართლოების მიერ, რომლებიც გამოტანილია
უმთავრესად ყმა-მამულებსა და სასისხლო საქმეებზე დავების გამო,
ასახულია გვიანფეოდალური საქართველოს არა მარტო სამართლის
ცალკეული დარგების (სამოქალაქო, სისხლის, საპროცესო სამართ-
ლის) თავისებურებანი, არამედ სოციალური ცხოვრების უმნიშვნე-
ლოვანესი მხარეებიც [14, V].

მაგალითად, განჩინება დავით მაგალობლიშვილისა და მისი
რძლის გაყრის საქმეზე, რომელიც 1788 წ. 22 დეკემბრით თარიღ-
დება, გვამცნობს მაზლისა და ქვრივის გაყრის თაობაზე, რომელიც
ამ უკანასკნელს ქალიშვილის გათხოვებამდე უტოვებდა ვენახს,
უღელ ხარს, ... ერთ ხალიჩას და „მანამდის ქალს გაათხოვებდეს,
მანამდის მთლად უნდა ეჭიროს ესე[ე]ბი და როდესაც ქალი გაათხო-
ვოს, მაშინ უნდა გაიყოს ეს მამულები. ნახევარი დავითს მიეცეს ან
ნახევარი ქვრივს დარჩეს, მანამდის ცოცხალი იყოს და ქვრივის სიკ-
ვდილის შემდგომ ისევ დავითს დარჩეს სრულიათ“. აზის ოთხი ბე-
ჭედი, თავში ბეჭედი დარეჯან დედოფლის [14, 442-443]. როგორც
ვხედავთ, ოჯახის აუცილებელ ნივთთა შორის აქაც ხალიჩას ერთ-
ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც ოჯახის გარკვეულ
სტატუსზე მიუთითებს.

ეკლესიისთვის ხალიჩის შეწირვა იმ რიგის უმნიშვნელოვანეს
საქმედ ითვლებოდა, როგორც იყო ტაძრისთვის კედლის აღდგენა,
ფრესკებით მოხატვა, ხიდის აგება. ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ
1687 წლის მცხეთის სიგელი №216 გვამცნობს: „ქ: ეჰა: ადამისა აღ-
მართებაო და ევას მწუხარებისა დამხსნელო უხილაო და გონებამი-
უნდომელო დაუსაბამო დაუსრულებელო ღმერთო რომელსა მართა-
ლი გიყუარს და ცოდვილთა სწყალობ მას ჟამსა ოდეს წყალობითა
შენითა ძე მალლისა ჴელმწიფისა მეფე პატრონი გიორგი საჴელმწი-

ფოსა თუისისა საქართველოსა ტახტსა ზედა მჯდომარე იქმნა... ჩუენ ამილახორის მოგვებოდა ჯელმნიფის მეფის პატრონის გიორგისაგან სრულიად საქართველო საკათალიკოზობა და დედაქალაქსა მცხეთისასა სამეუფოსა კათოლიკე ეკლესიასა ტახტსა ზედა მჯდომარე ვიქმენით და კათალიკოზად ვეკურთხენით... და ვინყევით ჟამსავე ამ... ტაძრისა ამისა შენირვა შემკობა და შემატება... კედელი სუეტისცხოვლის ტაძრისა მწარსა სამწრეთისასა ახლადაღვაშენეთ... სვეტის პირდაპირ ჩრდილოეთის კერძ დავახატვინეთ და ერთი ხომლი დაეჭვიდეთ... შევსწირე ერთი თეთრის დიბის ბისონი ოქროს ღილი... არაგუზედ ჯიდი გავსდევ და გავაკეთე... სამირონე ძირს გარეშემო სულ ხალასად ნაკერის ხალიჩებით მოვფინე..." [15, 64-65].

მზითვის შემადგენლობაში ხალიჩას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამ მხრივ, საინტერესოა ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი და წერილი ლამაზი მრგვალი მხედრული ხელით 25 გვერდიანი რვეულის მსგავსად შეკერილ ქალაღზე, რომელიც თარიღდება 1712 წლის თებერვლით. ტექსტი იწყება შესაქმის და იესოს გენეალოგიის მოკლე თხრობით, კვართის მცხეთას დავანებით, წყვილის კურთხევით და ბოლოს მოსდევს ჩამონათვალი, სადაც ჩვენთვის საინტერესო ხალიჩა დასასრულსაა მოხსენიებული: „იახტანი ერთი; ხალიჩა-ფუჩი საისა ერთი..." [16, 490].

და კიდევ, მზითვის წიგნი ანა ქსნის ერისთავის ასულისა, რომელიც მიუთხოვებიათ ლუარსაბ ორბელიანისათვის, წიგნი დაწერილი უნდა იყოს ერეკლე I-ის მეფობის დროს და ახლ. 1692-1703 წწ. „...რადგან ჩვენი მოყურობა მოინდომეთ, ჩვენც დაგემოყურენით და მოგართვით ჩვენი სასურველი და თვალთა ჩვენთა სინათლე და გულისა ჩვენისა სიმხიარულე, სამოთხის მსგავსად განშუენებული და ჩვენი ბატონი ანა და გამოვატანეთ ზითვად პირველად: ხატი წმიდის სამებისა, მის ნაქსოვის ბუდითა და პირსახურავით, კიდევ ხატი ერთი ყოვლადწმიდისა... (ჩამოთვლილია ლოცვანი, დაუჯდომელი, ძვირფასი თვლები და სამკაულები, სკივრი სხვადასხვა, საწერელი, ჭურჭელი, სამოსელი) ერთის ორხოვითა, ერთის ხალიჩითა“ [17, 430-434].

ხალიჩა დიდგვაროვანთა გარკვეულ იერარქიას უსვამდა ხაზს. სია ვახუშტი ორბელიანის მოძრავი ქონებისა, 1707 წელს სპარსეთში ყანდაარში შედგენილი, სადაც ვახუშტი გარდაიცვალა. საყურადღებო ისაა, თუ რა ნივთები ჰქონდა ქართველ დიდებულს XVIII საუკუნის დამდეგს უცხო ქვეყანაში თან წაღებული, ან იქ შეძენილი. საჭირო ნივთთა შორის ვხვდებით ხალიჩასაც: „1707 ქ. მიებარა ზაალ

კაკონაშვილს რაც რამ ფერი ქონდა ბატონის ვახუშტის ოხერი საქონელი. ნაღდათ თეთრი აქოური თუმანი ოთხმოცდაათი. ქ. ჳრმალი ერთი ... ქ. თევზის კბილის პატარა ხანჯალი, პირში ოქროთი არის მოჭედილი, ერთი, ... ბატონის ნაბოძები ქვის ყალიონი ოქროთმოჭედილი..., ქირმანის ხალიჩა ერთი..." [17, 210-219].

ვახუშტი ორბელიანის საქონლის ნუსხა, რომელიც მიუბარებიათ სეხნია ძაგანაშვილისათვის 1711 წელს, სხვადასხვა ნივთებს შორისაა „ქ. ფათანი დოღბანდი ოთხი, ყვითელი დიბისა სიასამურისა ერთი, ყვითელი დიბის კურტაკი..., ქამრის ბალთები თოთხმეტი, ყამნია, ყავადანი სპილენძისა,... ინდოური კაკალი, ... ქირმანის ხალიჩა, ქ. ხალიჩაფუჩი წყვილი"... [17, 277-275].

ხალიჩის შესახებ საინტერესო ცნობებს ქართულ ფოლკლორშიც ვხვდებით. მ. თამარაშვილის 1902 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში Torre del Greco-ს არქივში დაცულ მისიონერ ბერნარდე ნეაპოლელის კოლექციაში დაცულ ქართულ ზღაპრებში საყურადღებოა „ღარიბი კაცი“, რომელიც XVII საუკუნეშია ჩანერილი. თხზულების მიხედვით, სამი ქაჯი ერთმანეთს ერთ ქუდსა და ხალიჩას ეცილებოდა. ყმანვილმა გამოიკითხა ქუდის და ხალიჩის დანიშნულება თუ შესაძლებლობა და შეიტყო, რომ ხალიჩა გადაადგილების უნარს ფლობდა, ხოლო ქუდი კი, ვინც მას დაიხურავდა, ყველას დაინახავდა, თავად კი შეუმჩნეველი დარჩებოდა. ყმანვილმა მოახერხა ნივთებს დაუფლებოდა და შურის საძიებლად გამოეყენებინა, მაგრამ, საბოლოოდ, იგი მათ კარგავს [18, 69-70]. სხვადასხვა კულტურათა ლიტერატურულ ტრადიციაში მფრინავი ხალიჩა ადამიანთა მიერ მყისიერი გადაადგილების საშუალებას წარმოადგენდა. მაგალითად, „ათასერთი ღამის“ ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით, უფლისწული ჰუსეინი მფრინავ ხალიჩას იძენს. სოლომონის ხალიჩა მწვანე აბრეშუმისაგან დამზადებული და ოქროსფერი მისაქსელით განყოფილი, 60 მილი – სიგანისა და ამდენივე მილი სიგრძის იყო. მფრინავი ხალიჩა გვხვდება რუსულ ზღაპრებსა და მარკ ტვენის ნაწარმოებშიც [19, 292-293].

თეიმურაზ II-ის (1700-1762წწ.) „სარკე თქმულთა“ განსაკუთრებით ღირებული ნაწარმოებია, სადაც მოცემულია XVIII ს-ის კახეთის ეთნოგრაფიული ყოფა. თხზულების მიხედვით, საქორწინო ცერემონიების დროს ხალიჩებს განსაკუთრებული ადგილი ეკავა და იმავდროულად დიდგვაროვანთა გარკვეულ იერარქიასაც უსვამდა ხაზს: „წინ გაუძღვების დედოფალს, მოვლენ სად რიგი არია, კარსა დაუხშვე საყდრისას, ვით მათი წესი არია, ბჭის მცველსა მისცენ მცირე რამ, გააღებინონ კარია, და რა შევლენ, ღვდელმან ქალ-ყმათა

ხელთ მისცეს კელაპტარია. გაშლიან ხალიჩა-ფურსა, მასზედა ფარჩას მძიმესა, მეფე და დედოფალიცა უნდა მასზედა იდგესა, ეტყვიან ყოვლის სულს საყდარში: „მიყუდვით არვინ მიდგესა!“ და უკურთხებს მღვდელი გვირგვინსა, ჯვარის-სანერი მისცესა“ [20, 60].

ხალიჩის ადგილის შესახებ საინტერესო პასაჟს „რუსუდანიანის“ რამდენიმე ეპიზოდში ვადასტურებთ. მასში იამანეთის დედოფლის რუსუდანიანის თავგადასავალია მოთხრობილი. თხზულების ავტორი უცნობია. „რუსუდანიანის“ მეორე ზღაპარი ცნობილ პოეტს მამუკა ბარათაშვილს 1732 წ. „ჯიმშედიანის“ სახელწოდებით გაუღებეს – „აქა ამბავი ხათაელთა ხელმწიფისა ტომერანისა და ძისა მისისა ჯიმშედისა“, სადაც ტერმინი ხალიჩა მოწმდება. ჯიმშედის ტახტზე ასვლასა და ედემის მსგავსი ბალის აღწერისას საინტერესო დეტალს წარმოადგენს გზა და მისი აღწერილობა, რომელიც სახლისა და აივნის დახასიათებისას ჩანს: „...გავედით, მას აივანზედ მოკიდებული ჩინარი (იგივე ჭანდარი) იყო ორპირად, იქით და აქეთ. შუაზე გზა იყო და ის ჩინარის ხეები ასე რიგზე იყო ჩარიგებული, რომ ერთი - მეორეზე არც უნინ იყო, არც უკანა. ასე ხშირად იყო, რომ შუაზე ვერა სულიერი ვერ გაივლიდა. იმ ჩინარის სტოებით ასე დაბერვილი იყო გზა, რომ სულ იმ გზაზე ევლო ვაცსა, არც წვიმა ჩაუვიდოდა, არც მზე მიადგებოდა. ის გზა სულ ხალიჩათი იყო დაფენილი და მას ჩინარსა რაც შტო ჰქონდა, ყველასა ასე რიგად ამოსდიოდა შადრევანი...“ [21, 215]. როგორც ჩანს, ხალიჩა არა მარტო ინტერიერის განწყობისას გამოიყენებოდა, არამედ ექსტერიერის გასალამაზებლადაც.

ცნობილია, რომ თხზულებაში „კალმასობა“ აღწერილია XVIII-XIX სს. დამდეგის საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა. ნაწარმოებში იოანეს ქაიხოსრო მურვანისშვილთან სტუმრობა შენდობის თხოვნით წარმოჩინდება, სადაც ჩვენთვის საინტერესო ხალიჩა შენდობის სამაგიერო ნივთს წარმოადგენს: „...ზურაბა: ვიცი, შენ მხვნელ-მთესველი კაცი არა ხარ, რომ პურით შეგვეწიო, და ეგ შენდობა ერთს ხალიჩაზედ არის დამოკიდებული. ქაიხოსრომ მყისვე მიართო იოანეს ხალიჩა და მონასტრისათვის ძროხა“ [22, 20]. სხვა ადგილას, სადაც სასულიერო პირებზეა საუბარი, ზურაბა ამბობს: „...დააქორწინებენ ვისმეს, საყდრის კარსაც დაუკეტავენ, ვინემ არას მისცემენ და ჯვარისწერასაც გადაახდევინებენ; იმასაც არ დასჯერდებიან, ხალიჩა და ფარჩავ უნ-

და ქვეშ გაუშალონ მექორნინეთ, რათა ისიც იმათ წაიღონ... [22, 164].

კალმასობის მეორე ტომში აღწერილია იოანეს მოგზაურობა აღმოსავლეთ საქართველოში. მოგზაურობისას იოანეს ხედება სხვადასხვა პირი, რომელნიც საქართველოსთან დაკავშირებულ მათთვის საინტერესო საკითხებზე ესაუბრებიან. ხალიჩის მოხსენიებას აქაც ვხვდებით. თხზულების თანახმად, იოანეს ბრეთს შემოხვდება ავალ ავალისშვილი, რომელიც ამცნობს დაქორწინების ამბავს. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ქალს საკადრისი მზითვი მიუტანია, მათ შორის „ერთი ცხა ჯამი სპილენძისა, ... სამი ქვაბი, ერთი ვერცხლის თასი, ერთი ბეჭედი ფირუზისა ოქროთი, ორი ხალიჩა, ორი ფარდაგი და ერთი ქერა [23, 32].

საქართველოზე საუბრისას იოანე საქსოვ ქარხნებს ეხება და აღნიშნავს: „საქსოვარნი ქარხანანი არა აქენდათ, გარნა თიქრისტანელთა მოსრულთა ერთა იწყეს საფეიქრო სახელოვნებისა სწავება. და ქსოვნდნენ ხამთა, ჩითთა და აბრეშუმთა განცა, და შალთასა ჩოხათა და აგრეთვე ნოხთა, რომელ არს ხალიჩა...“ [23, 229].

როგორც ვხედავთ, არქეოლოგიურ და ქართულ მრავალრიცხოვან წერილობით წყაროებში დამოწმებული ტერმინი ხალიჩა საქართველოში საფეიქრო ნაწარმის, კერძოდ, მეხალიჩეობის კულტურის განვითარების საკმაოდ ძველ, მაღალ მხატვრულ ტრადიციაზე მიუთითებს, რაც მას კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური ძეგლის სტატუსს ანიჭებს [9, 188-194].

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კულტურული მემკვიდრეობით მდიდარი ქვეყნების ეკონომიკაზე სასიკეთო გავლენას ახდენს ტურიზმი [24, 95]. ხალიჩების წარმოებით განთქმული ქვეყნების – ირანის, შუა აზიის ქვეყნების, ავღანეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის გვერდით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში დავანებული ქართული ხელით ნაქსოვი ხალიჩის მსოფლიო ბაზარზე გატანა და მოთხოვნად პროდუქციად ქცევა ფრიად საშური საქმეა. ქართული ხელით ნაქსოვი ხალიჩის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეებისა და გეოგრაფიული არეალის (მთასა და ბარის) თავისებურებანი მასში ადეკვატურად აისახება. ამდენად, ქართული ხალიჩა ტურისტებისთვის თვალშისაცემ ერთ-ერთ მიმზიდველ საგანს უთუოდ წარმოადგენს. ადგილი კი, სადაც ქართული ხალიჩის პოპულარიზაცია და მისი როლის განსაზღვრა იქნება შესაძლებელი, მუზეუმი.

დღეს მუზეუმების როლი მრავალმხრივია: ზოგი ხელოვნებისა და კულტურის ტაძარია, ზოგი-ტექნიკისა და ინდუსტრიის განვითარების ამსახველი, მაგ.: სართავი ფაბრიკები, ქვანახშირისა და კალის მალაროები; ბევრი რამ, რაც ადრე ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენდა და ქუჩის, ქალაქის თუ რეგიონის იმდროინდელი სახე იყო, დღეს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრია და „ცოცხალ ექსპერიმენტს“ გვთავაზობს. ყველა მათგანს ერთი საერთო მიზანი გააჩნია: დაიცვას და წარუდგინოს საზოგადოებას კოლექციები, რათა აღზარდოს, შთააგონოს და სიამოვნება მიანიჭოს ხალხს. სწორედ ამ სულისკვეთებით მუშაობენ დღეს გაერთიანებული სამეფოს მუზეუმების მცველები. მუზეუმებისადმი ახლებური მიდგომები აიძულებს მათ ჩართონ საბაზრო კონკურენციაში, ეს დიდიხანია ასეა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში [25, 63].

დღეს საქართველო ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯებს დგამს. ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ტრადიციული რენვის ოსტატების მიერ დაარსებულია სხვადასხვა კერძო მუზეუმები, სადაც დაცულია თვალსაჩინო ნიმუშები. მაგალითად, მესხური ხალიჩის ცნობილი მქსოველისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის „ცოცხალი საუნჯის“ წოდების მქონე ოსტატის-მარიამ ყუყუნაძის მიერ დაარსებული მუზეუმი სოფელ მუსხში, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული ქსოვის ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებაში. აღნიშნული მუზეუმი ერთდროულად სახელოსნოს ფუნქციასაც ასრულებს, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდები ეცნობიან მესხური ხალიჩის ძველ ნიმუშებს, ტრადიციული ბუნებრივი საღებავებით ლებვას და ხალიჩების ქსოვის ტექნიკას ეუფლებიან [25, 160]. ასევე, უნდა აღინიშნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმები (ქობულეთი, ახალციხე), რომელთა კოლექციაშიც დაცულია რეგიონისთვის დამახასიათებელი ტიპიური ხელოსნობის ნაწარმი, ხაოიანი ან უხაო ხალიჩები. ამ საკითხთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ კოლექციების მნიშვნელობა ხშირად არ არის სათანადოდ აღქმული, შესაბამისად ნაკლებად ხდება მათი პოპულარიზაცია და სათანადო ექსპონირება. ამასთან, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში სამუზეუმო კოლექციები ძალზე იშვიათად ივსება თანამედროვე ოსტატების ნამუშევრებით, რაც წლების შემდგომ შეუძლებელს გახდის ამჟამად ტრადიციულ რენვაში მიმდინარე მხატვრული პროცესების ანალიზს. დღეს სამუზეუმო სივრცეში ტრადიციული რენვის სახელოსნო-

ების მონყობა აპრობირებული პრაქტიკაა, როგორც ადგილობრივი მუზეუმების ისტორიაში, ისე საერთაშორისო გამოცდილებაში [25, 149]. სახელოსნოების პრაქტიკული გამოყენება მუზეუმის სიცოცხლისუნარიანობას ხელს უწყობს. ამ მხრივ, საქართველოს შემთხვევაში არ შეიძლება არ აღინიშნოს ეროვნული მუზეუმის ყოველწლიური საზაფხულო პროგრამა „ხალხური რენვის ღია გაკვეთილები“, რომელიც გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ტარდება. აღნიშნული პროგრამა ფართო საშუალებას იძლევა ვიზიტორები გაეცნონ ტრადიციული ხელსაქმის ოსტატებს, დახელოვდნენ და აითვისონ ხალხური ხელობის სხვადასხვა დარგები, მათ შორის, ქართული ხალიჩის ქსოვის ტექნიკა. მსგავსი პრაქტიკის საქართველოს რეგიონულ მუზეუმებში დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სამუზეუმო გარემოს გახსნას, დამთვალიერებლის მოზიდვასა და ჩართულობის ზრდას. ამასთან, დღეისათვის ტრადიციული რენვის ნიმუშების ნაწილი სტანდარტული დიზაინით გამოირჩევა, სადაც უგულვებელყოფილია საქართველოსთვის ისტორიულად დამახასიათებელი რეგიონული თავისებურებები. ამ მხრივ, გადამწყვეტი როლი ენიჭება რეგიონულ მუზეუმებს, რომელთა კოლექციების ბაზაზეც შესაძლებელია ქართული ტრადიციული რენვის დარგების რეგიონალური თავისებურებების წინ წამოწევა, რისთვისაც სასურველია სამუზეუმო ფონდები მეტად ხელმისაწვდომი გახდეს ადგილობრივი ოსტატებისათვის. საერთაშორისო პრაქტიკა მსგავსი გამოცდილების არაერთ მაგალითს გვთავაზობს. მაგალითად ინდოეთში ჩამბა რუბალის ქართული ხელოვნების აღორძინების პროექტი, სადაც ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე მუზეუმის კოლექციაზე დაყრდნობით მოხერხდა აღნიშნული ტრადიციის გაცოცხლება. მსგავსი ინიციატივების საქართველოში განსახორციელებლად, სასურველია შემუშავდეს დიდი ბრიტანეთის „Museumaker“-ის მსგავსი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ტრადიციული რენვის ოსტატებსა და მუზეუმს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას [25,160].

ტურიზმსა და კულტურას შორის ურთიერთკავშირს ღრმად ჩაფიქრება სჭირდება. უნდა მოხდეს საზოგადოების სწორად აღზრდა და უკეთ ინფორმირება. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა არსებობდეს წონასწორობა ტურიზმის მოთხოვნებსა და სამართლიან სიფრთხილეს შორის, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ – ეროვნული მემკვიდრეობის წარმოჩენას, მოგების მიზნით ტურისტული ინდუს-

ტრის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც თავისთავად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია, მეორე მხრივ – აუცილებელ ზრუნვას კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-გადაარჩენისათვის, მისი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფას, რათა შევინარჩუნოთ წარსულის მატერიალური თუ არამატერიალური ყველა ნიშანი [24, 97].

დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ნიდერლანდების ქვეყნებში კულტურის პოლიტიკა შემდეგნაირად ხორციელდება: კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ხელისუფლება ხელსაყრელ პირობებს ქმნის არარენტაბელური, მაგრამ საზოგადოებისათვის ძალზე საჭირო საქმიანობისათვის, რათა გადაარჩინოს ისტორიული წარსული და მესხიერება ბაზრის ძლიერი ზენოლისაგან, ასევე, თანამედროვე შემოქმედების სფეროში სახელმწიფო ხელს უწყობს სიახლის გამოვლენასა და მის გავრცელებას. კულტურის მართვის სფეროში საფრანგეთის სახელმწიფო გარკვეულ ბერკეტს ფლობს: კანონმდებლობა და მისი რეგულირება. სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ის ბერკეტია, რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს ხელი შეუწყოს ან აკრძალოს, განსაზღვროს უფლებები და ვალდებულებები, დააწესოს მყარი და წილობრივი გადასახადები და თვალყური ადევნოს კანონის აღსრულებას [24, 25].

ამრიგად, არქეოლოგიური არტეფაქტები და ლექსიკოლოგიური მონაცემები, ასევე, ქართულ მრავალრიცხოვან წერილობით წყაროებში - დამონმებული ტერმინი ხალიჩა საქართველოში საფეიქრო ნაწარმის, კერძოდ, მხალიჩეობის კულტურის განვითარების საკმაოდ მაღალ მხატვრულ ტრადიციაზე მიუთითებს, რაც მას ანიჭებს კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური ძეგლის სტატუსს. ქართულ ხელნაწერებში იგი შენირულობის, შენდობის, ოჯახის სტატუსის, სოციალური იერარქიის, მზითვის საგანს წარმოადგენს. ხალიჩის ქსოვის ისტორიამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ხალიჩის სახეობის ქსოვის უძველესი თვითმყოფადი ტრადიცია არსებობდა. მისი როლი ტურიზმის განვითარებაში უმნიშვნელოვანესია, მას შეუძლია საქართველო რამდენიმე კუთხით წარმოაჩინოს – ეკონომიკური განვითარების, შინამრეწველობის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, მხატვრული შემოქმედების.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კომორიძე ი., დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება-დარგები, სტილები, ეპოქები, თბილისი, 2013.
2. იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“, თბილისი, 1990.
3. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი 1, თბილისი, 1955.
4. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. III, თბილისი, 1963.
5. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი, 1961.
6. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1986.
7. კომორიძე ი., ქართული ხალიჩა, ახალციხე, 2016.
8. მაისურაძე ი., ქართული გვარ-სახელები, თბილისი, 1981.
9. ბახსოლიანი ნ., ტერმინი ხალიჩა ქართული წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში, სვეტიცხოველი, №2, თბილისი, 2017.
10. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მეორე (1213-1700), ტფილისი, 1897.
11. კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, ტფილისი, 1921.
12. საქართველოს სიძველენი, ტ. I, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1920.
13. ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1970.
14. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, თბილისი, 1974.
15. სარგის კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი IV, თბილისი, 1913.
16. საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. III, ტფილისი, 1910.
17. საქართველოს სიძველენი, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1909.
18. მრავალთავი, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების კრებული, 1, თბილისი, 1964.

19. Jobes G., Dictionary of Mythology, Folklore and Symbols, New York, 1961.
20. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბილისი, 1939.
21. რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.
22. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტომი I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფილისი, 1936.
23. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტომი II, კ.კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948.
24. კულტურის პოლიტიკა, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება, ფრანგულიდან თარგმნეს მ. მაჭავარიანმა, ნ. კიტოვანმა, თბილისი, 2003.
25. მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა II, თბილისი, 2015.

Nana Bakhsholiani

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Scientist of the Department History of Ancient Countries

Nino Gachava

Georgian Technical University, Doctoral Student of the Faculty of Law and International Relations

Carpet in the Georgian Cultural Heritage Treasure and its Role in Tourism

Summary

Fragments of fabrics discovered as a result of archeological excavations and rich Georgian terminology (*nokhi* – thick-pile carpet, *dzolo* – small carpet, *orkhova* – rug with long/double pile, *teri* – bedding, *pichvi* – wool carpet; worn rug, *kecha* – felt wool; coarse-wool patch work bed spread, *kunta* – rough fibrous floor-covering, *kiliki* – sack cloth shirt worn for penance, etc.) indicate a high level of development of textile industry, namely, carpet-making in Georgia. An excellent basis for this was rich raw materials of Georgian sheep wool.

According to the research carried out by the authors, the term *khalicha* is recorded for the first time in the list of Mtskheta deeds and charters dated to 1531. In Georgian literary monuments of the Early Middle Ages special carpets for prayer were referred to by the following terms: *kiliki*, *small kiliki*, *nokhi*, *pardagi*.

In the authors' view point, according to Georgian written sources: deeds and charters, literary and folkloric materials, church documents, legal documents, carpets are assigned an especially valuable role, which is not only determining the social hierarchy of the Georgian feudal society, the place and function of carpets, but also provides significant information on import and export as well. Its role in tourism development is crucial, it can portray Georgia in several ways: economic development, home industry, decorative-applied arts, artistic creativity.